სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდები სკოლამდელ ასაკში

გაგნიძე დარეჯან
იაკობ გოგებაშვილის სახელობის
თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

DOI: https://doi.org/10.52340/tuw.2025.38.01.30

აბსტრაქტი: *სკოლამდელ პედაგოგიკაში გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საერთო მიზნებს და ამოცანებს. მათი გამოყენების დროს გასათვალისწინებელია ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი. სწავლების ტრადიციულ მეთოდებს მიეკუთვნება: ვიზუალური, ზეპირი და პრაქტიკული. ახალ მეთოდებს კი, ინფორმაციული - მიმღები, რეპროდუქციული, კვლევა, ევრისტიკული. ზეპირი ანუ რეპროდუქციული მეთოდი მიმართულია ახალი , მზა ინფორმაციის აღქმასა და დამახსოვრებაზე. ის მოიცავს: საუბარს, მოთხრობას, ხელოვნებათმცოდნის მონათხრობს, მასწავლებლის მაგალითს. ევრისტიკული, ანუ ნაწილობრივ ძიების მეთოდი, წარმოადგენს კვლევის მეთოდის წინაპირობას.ზემოდ ჩამოთვლილი მეთოდები ორიენტირებულია შემეცნებითი პროცესებისაკენ, მათ შორის სახვითი საქმიანობის შესაძლებლობების გამოსავლენად. ვიზუალურ აქტივობასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვიზუალური, ზეპირი და თამაშის მეთოდები. დაკვირვებისა და ემოციის გარეშე შეუძლებელია შეიქმნას ხელოვნების ნაწარმოები.დაკვირვების პროცესს მოსდევს გააზრება და შემდეგ ბავშვის აქტიურობა.დაკვირვების ჩატარების დროს გასათვალისწინებელია ბავშთა ასაკი.*

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები–ადვილად ხატავენ ისეთ თემას, თუ ის მათთვის საინტერესოა და მათ აქვთ მისი ნახვის გამოცდილება. პატარებთან დასახატი თემები უნდა იყოს მარტივი,დაკვირვების პროცესი კი შედარებით ხანმოკლე.ხუთი წლის ბავშვებში დაკვირვება უფრო ხანგრძლივი ხდება . ისინი მზად არიან ელემენტარული შედარებისა და განზოგადებისათვის, კითხვებზე პასუხისათვის.უფროსი ჯგუფის ბავშვები–მომზადებულები არიან უფრო შეგნებულად და აქტიურად აღიქვან ესა თუ ის მოვლენა. დააკვირდნენ და შეამჩნიონ ყველა ის ცვლილება, რასაც განიცდის საგანი ჩრდილ–განათებასთან დაკავშირებით. კვლევის მეთოდი შემუშავდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სენსორული აღზრდის კვლევის პრობლემის კონტექსტში. კვლევის მეთოდის მიზანია მოახდინოს ბავშვებში რაციონალური და მგრძნობელობითი აღქმის საშუალებით გარე სამყაროს შეცნობა.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეცადინეობა დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს საბავშვო ბაღის მასწავლებელს.ის კარგად უნდა ფლობდეს სწავლების მეთოდებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში,რომლებიც დიდ კავშირშია სწავლების მიზნებთან და ამოცანებთან .

საკვანძო სიტყვები: *ტრადიციული. ვიზუალური. კვლევა. მეთოდი.დაკვირვება.თამაში. ხელოვნება.*

სწავლებისა და აღზრდის წარმატება დიდადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რა მეთოდებს და ხერხებს გამოიყენებს მასწავლებელი იმისათვის, რომ ბავშვებამდე მიიტანოს განსაზღვრული ცოდნა. სახვითი ხელოვნების სწავლების მეთოდებში გულისხმობენ პედაგოგის მოქმედების სისტემას, რომელიც ორგანიზებას უკეთებს როგორც შემეცნებით, ასევე პრაქტიკულ სამუშაოებს. სკოლამდელ პედაგოგიკაში გამოიყენება სწავლების სხვდასხვა მეთოდები, რომლებიც შეესაბამება სწავლების საერთო მიზნებს და ამოცანებს. მეთოდები გამიზნულია საქმიანობის სახეობისა და სპეციფიკის შესაბამისად. ამავდროულად გასათვალისწინებელია ბავშვთა ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებანი.

სწავლების ტრადიციულ მეთოდებს მიეკუთვნება: ვიზუალური, ზეპირი და პრაქტიკული. ბოლო დროს კი შემუშავდა ახალი კლასიფიკაცია (ავტორები: ლერნერი ი.ი. სკატკინი მ.ნ.) მათ მოგვცეს სწავლების მეთოდების საერთო–დიდაქტიკური სისტემა, რომლებიც არა მხოლოდ უზრუნველყოფს ცოდნის შეთვისებას, არამედ განავითარებს ბავშვთა როგორც შემეცნებით შესაძლებლობებს, ასევე მათ შემოქმედებითობას, ემოციებს და ინტერესებს. ესენია: ინფორმაციული - მიმღები, რეპროდუქციული, კვლევა, და ევრისტიკული. ინფორმაციულ–მიმღები მეთოდი მიმართულია ახალი , მზა ინფორმაციის აღქმასა და დამახსოვრებაზე.ის მოიცავს შემდეგ ხერხებს: დათვალიერება, დაკვირვება, ექსკურსია, მასწავლებლის მაგალითი, ჩვენება.

ზეპირი ანუ რეპროდუქციული მეთოდი მიმართულია ახალი , მზა ინფორმაციის აღქმასა და დამახსოვრებაზე. რეპროდუქციული მეთოდი გამოიყენება ცოდნის ათვისება–გაღრმავების განსამტკიცებლად. პედაგოგი ირჩევს და აძლევს მოსწავლეს დავალებებს, მოსწავლე კი ასრულებს მათ. აზროვნების რეპროდუქციული ბუნება გულისხმობს მასწავლებლის ან საგანმანათლებლო ინფორმაციის სხვა წყაროს მიერ მოწოდებული მასალის აქტიურ აღქმას და დამახსოვრებას. ამ მეთოდის გამოყენება შეუძლებელია სწავლების ვერბალური, ვიზუალური, პრაქტიკული მეთოდებისა და ტექნიკის გამოყენების გარეშე, რომლებიც ამ მეთოდის მატერიალურ საფუძველს წარმოადგენენ. ეს მეთოდი ძირითადად ეფუძნება: სიტყვების გამოყენებით ინფორმაციის გადაცემას, ბუნებრივი ობიექტების, ნახატების, ფერწერიული თუ გრაფიკული გამოსახულების დემონსტრირებას. პრაქტიკული ამოცანების შესრულებისას ბავშვების რეპროდუქციული აქტივობა გამოიხატება სავარჯიშოების სახით.მეთოდი მოიცავს: საუბარს, მოთხრობას, ხელოვნებათმცოდნის მონათხრობას, მასწავლებლის მაგალითს და მხატვრულ სიტყვას.

ევრისტიკული მეთოდი მიზნად ისახავს შემოქმედებითი საქმიანობის თავისებურებების ოპერატიულ ან ელემენტარულ შესწავლას. მაგალითად,პედაგოგი აცნობს ფაქტებს, ხოლო ბავშვებს გამოაქვთ დასკვნები. ევრისტიკული, ანუ ნაწილობრივ ძიების მეთოდი, წარმოადგენს კვლევის მეთოდის წინაპირობას. ზემოდ ჩამოთვლილი მეთოდები ორიენტირებულია შემეცნებითი პროცესებისაკენ, მათ შორის სახვითი საქმიანობის შესაძლებლობების გამოსავლენად.

ვიზუალურ აქტივობასთან დაკავშირებით გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ვიზუალური, ზეპირი და თამაშის მეთოდები. სახვითი საქმიანობის სწავლების ამოცანების გადასაწყვეტად სკოლამდელ ასაკში წამყვან მეთოდს ვიზუალური წარმოადგენს. ვიზუალურ მეთოდებს შორის აღსანიშნავია: დაკვირვება, დათვალიერება, ნიმუში, სურათის ჩვენება. დაკვირვება ვიზუალურ მეთოდებს შორის

უმთავრესია. იგი განისაზღვრება, როგორც მიზანმიმართული საშუალება რეალური სამყაროს, საგნის ან მოვლენის აღსაქმნელად. ამ მეთოდის ღირებულება იმაში მდგომარეობს, რომ დაკვირვების პროცესში ფორმირდება ბავშვში წარმოდგენები დასახატ საგანზე, რომელიც საფუძვლად უდევს შემდგომში მის გამოსახვას ანუ დახატვას. დაკვირვება, ყველა სხვა მეთოდებისაგან განსხვავებით ზუსტ წარმოდგენას იძლევა გარე სამყაროზე. მისი საშუალებით ხდება შესაძლებელი პიროვნების მთავარი ღირებულება, ის რითიც ხასიათდება მისი შემეცნებითი ფორმა.

დაკვირვების მოთხოვნები:

მიზანმიმართული დაკვირვება სახვით საქმიანობაში, გულისხმობს იმ ობიექტის ფორმის და შინაარსის აღქმას, რომელიც წარმოადგენს გამოსახულების საფუძველს.

ემოცია. ადამიანებთან, ხელოვნებასთან, ბუნებასთან, ემოციური დამოკიდებულების გარეშე შეუძლებელია შეიქმნას ხელოვნებს ნაწარმოები, ან შესრულდეს რაიმე შემოქმედებითი საქმიანობა. ემოციის არსებობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სკოლამდელი ასაკის ბავშვისათვის. საერთო შეცდომა კი იმაში მდგომარეობს, რომ ბევრი მასწავლებელი არ ცდილობს ემოციის აღძვრას. ბავშვში ისინი მხოლოდ ცოდნას და ინტელექტს ეხებიან.ესაა დიდი შეცდომა. ცოდნა, რომელიც გამყარებული არ არის მასთან დაკავშირებული გრძნობებით, ვერ შეუწყობს ხელს ბავშვის შემოქმედებით საქმიანობას.

დაკვირვების გააზრება. სახვითი საქმიანობა მოითხოვს საგნების განსაკუთრებულ აღქმას. მისი ისეთი თავისებურებების დანახვას, როგორიცაა: ფორმა, პროპორცია, ფერი,ტონალობა და ა.შ. ამ თვისებების დანახვა უნდა იყოს არა მექანიკური, არამედ გააზრებული. მაგალითად:რატომაა საგნის ერთი მხარე განათებული და მეორე ჩრდილში მოქცეული? რატომ იცვლიან საგნები ფერადოვნებას სიშორესთან დაკავშირებით? რატომ არის ხეები და სახლები ახლოს დიდი, ხოლო შორს წასული პატარა?

ბავშვთა აქტიურობა. დაკვირვების დროს აუცილებელია ბავშვთა მრავალფეროვანი აქტიურობის უზრუნველყოფა: ემოციური, აზრობრივი, სამეტყველო, მოძრავი. მხოლოდ ამ პირობით იქნება დაკვირვება ეფექტური. სამწუხაროდ მასიურ პრაქტიკაში პედაგოგების მხრიდან არის ერთგვარი შიში ბავშვთა ასეთი მრავალგვარი აქტიურობის გამო.

დაკვირვების გამეორება. განსაკუთრებით მთავარია ბავშვებისათვის, რომლებმაც უნდა შექმნან მრავალფეროვანი და გამომსახველობითი სახეები. ერთი და იგივე საგნის მრავალჯერ ნახვის დროს ბავშვები ხედავენ როგორ იცვლება საგანი. როგორ იცვლება ხე და მისი შეფერილობა წელიწადის დროთა მიხედვით, დღის სხვდასხვა მონაკვეთში იცვლება საგანთა შეფერილობა , განათება და ა.შ. ამრიგად გამეორებითი დაკვირვების პროცესი დიდ მასალას აძლევს ბავშვს გამოსახვისათვის.

ბავშვთა ასაკობრივი შესაძლებლობები დაკვირვებასთან დაკავშირებით

ბავშვებთან დაკვირვების მეთოდის ჩატარების ორგანიზაცია მოითხოვს აუცილებლობას შეირჩეს დაკვირვებისათვის საჭირო ადგილი და დრო. ასევე კითხვები, რომლებიც გააქტიურებენ ბავშვთა შემეცნებით საქმიანობას. დაკვირვების გამდიდრებას ისეთი ხერხებით, როგორიცაა: მოთხრობა, ახსნა, მხატვრული სიტყვა, თამაშის ელემენტები და ა.შ. **ბავშვის ასაკი**. სიახლე ან განმეორებითი დაკვირვება, ასევე დასახული სახვითი საქმიანობის ამოცანები, არსებითად მოქმედებს ბავშვთა შემეცნებით საქმიანობაზე დაკვირვების პროცესში. ეს ყველაფერი მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს კონკრეტული მეცადინეობის დროს. დაკვირვების დროს ბავშვთა ყურადღება გაამახვილოს საგნების ფორმასა და შეფერილობაზე. ურჩიოს,

როგორ ასახონ ამ დაკვირვების შედეგი ნახატზე. არსებობს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებთან ჩატარებული დაკვირვების ზოგიერთი თავისებურება. სახვითი საქმიანობის წინ ჩატარებული დაკვირვების შინაარსი მჭიდროდ უნდა იყოს დაკავშირებული მეცადინეობის შინაარსთან და მიზნებთან.ეს იმით არის განპირობებული, რომ დახატვის პროცესში ბავშვები ხედავენ სურათს ცოცხლად იმ შემთხვევაში, თუ დაკვირვების პროცესმა მათში დიდი ემოცია დატოვა.

უმცროსი სასკოლო ასაკის ბავშვები –ადვილად ხატავენ ისეთ თემას, თუ ის მათთვის საინტერესოა და მათ აქვთ მისი ნახვის გამოცდილება. პატარებთან დასახატი თემები მარტივი უნდა იყოს, საგნებიც მასთან შესაბამისად მარტივი ფორმის და მკვეთრი შეფერილობის. დაკვირვების პროცესი კი შედარებით ხანმოკლე. დააკვირდით, ჩვენ ეს სურათზე უნდა დავხატოთ, ეუბნება მათ მასწავლებელი. გონებრივი და ფსიქიკური პროცესების შესაძლებლობების გამო, მათთვის შეუძლებელია ყველა დამახასიათებელი ფორმის თუ ფერის გრადაციის დამახსოვრება. ამ ასაკის ბავშებთან, მასწავლებელი თვითონ განსაზღვრავს ფორმას და ფერს, პატარები კი იმეორებენ.მნიშვნელოვანია ყოველივე ეს მოხდეს თამაშის მეთოდით, მას შემდეგ რაც პატარები მიიღებენ გამოცდილებას ამდაგვარი სამუშაოების შესრულებაში, უნდა გავააქტიუროთ მათი ცოდნა საუბრის სახით, რომელიც უნდა ატარებდეს თამაშის მხიარულ ხასიათს. მაგალითად გაზაფხულობით ყველაზე უფრო შესაფერისი მათთვის იის ან ენძელას დახატვაა. მასწავლებელმა უნდა წაიყვანოს ისინი ამ ყვავილების სანახავად, ან თვითონ მიუტანოს ხატვის მეცადინეობის დროს და თამაშის სახით გააცნოს ეს ყვავილები.

ბავშვები მეოთხე წელში – უკვე ცდილობენ დამოუკიდებლად იის ან ენძელის დახატვას. ამ ასაკში უკვე მისაღებია დაკვირვების მეთოდი. მას თან უნდა ახლდეს მასწავლებლის საუბარი. ბავშვები აკვირდებიან იის ღეროს, მის ფოთლებს,კოკრებს,გაშლილ ყვავილებს, იმახსოვრებენ მათ ფორმას.მაწავლებელი მათ ყურადღებას ამახვილებს იის დეტალების ფორმაზე, შეფერილობაზე. ბავშვების უმრავლესობას შეუძლია დამოუკიდებლად შეასრულონ დავალება. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ემოციური იყო დაკვირვების პროცესი.

ხუთი წლის ბავშვები – ამ ასაკის ბავშვებში დაკვირვება უფრო ხანგრძლივი ხდება . ისინი მზად არიან ამისათვის. ელემენტარული შედარებისა და განზოგადებისათვის, კითხვებზე პასუხისათვის. განმეორებითი დაკვირვებისათვის. მათ უკვე გამოუკიდებლად შეუძლიათ აღიქვან: ფერი, ფორმა პროპორცია და მდებარეობა სივრცეში. მათი ნახატებიც საგრძნობლად განსხვავდება უმცროსი ასაკის ბავშვებისაგან. სიუჟეტებიც და კომპოზიციაც უფრო რთულია თავისი გამომსახველობით და შინაარსით.

უფროსი ჯგუფის ბავშვები – მომზადებულები არიან უფრო შეგნებულად და აქტიურად აღიქვან ესა თუ ის მოვლენა. დააკვირდნენ და შეამჩნიონ ყველა ის ცვლილება, რასაც განიცდის საგანი ჩრდილ–განათებასთან დაკავშირებით. გრძნობენ საგნის ფორმას და პროპორციას, მის მდებარეობას სივრცეში. სისტემატიური სახვითი მეცადინეობების შედეგად ბავშვები უფრო ადვილად და შემოქმედებითად გამოხატავენ თავიანთ ემოციებს, განწყობას, მასალებს და მათი გამოყენების ტექნიკას კონკრეტულ სიტუაციაში. ამრიგად აღქმის პროცესი უფროს ჯგუფში დაკავშირებულია დაკვირვებასთან და მის გააზრებასთან. ე.ი. გააზრება ხდება დაკვირვების საფუძველზე.

კვლევა არის მიზანმიმართული ანალიტიკურ–სინთეტიკური საგნის აღქმა, რომელიც ხორციელდება ტაქტილურ–მამოძრავებელი და მხედველობითი გზების

საშუალებით.

კვლევის მეთოდი შემუშავდა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სენსორული აღზრდის კვლევის პრობლემის კონტექსტში. კვლევის მეთოდის მიზანია მოახდინოს ბავშვებში რაციონალური და მგრძნობელობითი აღქმის საშუალებით გარე სამყაროს შეცნობა. საგნის კვლევით ბავშვები ეცნობიან საგანს. კვლევის აზრი მდგომარეობს დასახატ საგანზე წარმოდგენის ფორმირებაში. როგორც წესი, კვლევა გამოიყენება იმ დროს, როდესაც რთულია დასახატი საგანი.ეს შეიძლება იყოს: სათამაშო, სახლი, ხიდი, ბუნება, ხეები, ბუჩქები, ცხოველები, ადამიანი და ა.შ. ე.ი. კვლევა არის მიზანმიმართული დათვალიერება საგნისა, რომელიც უნდა დაიხატოს. აზრი ამ კვლევისა არის არა მხოლოდ სახვითი ამოცანის გადაწყვეტაში, არამედ უფრო ღრმა და მთავარია ის, რომ კვლევა წარმოადგენს ბავშვის მიერ სამყაროს შეცნობის საშუალებას. ამასთანავე ამ ხერხის დაუფლება ბავშვს აძლევს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას აღქმის პროცესში. შედეგიანი სახვითი აქტივობა წარმოუდგენელია გარემოს მიზანმიმართული ანალიტიკური და სინთეზური აღქმის გარეშე. რა თქმა უნდა შეუძლებელია სკოლამდელ ბავშვს მოვთხოვოთ ისეთი ხედვა და აღქმა როგორც ზრდასრულ მხატვრებს, მაგრამ მათ უნდა შეძლონ საგნის ელემენტარული სახვითი თვისებების დანახვა და მათი გამოსახვა. აღქმის ხერხის დაუფლება მათში აყალიბებს მხატვრულ პოზიციას:კარგად დავაკვირდე, რომ სწორად დავხატო! ასეთი პოზიციის ფორმირებას აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა სკოლამდელ ასაკში. ეს ხელს უწყობს მათ დამოუკიდებლობას სახვით საქმიანობაში. ასეთი ხედვა მათ ანიჭებს გამბედაობას და უხსნის ერთგვარ შიშს ხატვის დაწყების წინ. ასეთი ხედვით ისინი მზად არიან შეასრულონ ნებისმიერი სხვადასხვა დავალება და ეძებონ მათი შესრულების გზები. სწორედ ესაა შემოქმედებითი საქმიანობა.სწორად ჩატარებული კვლევა ხელს უწყობს კონკრეტული მეცადინეობის ამოცანების წარმატებით გადაწყვეტას. სწავლების პროცესს ხდის უფრო აქტიურს და დამოუკიდებელს ბავშვისათვის. საქმე იმაშია,რომ კვლევის დროს ბავშვში ხდება არა მხოლოდ საგნის უბრალო, არამედ მისი გარეგანი ვიზუალური ნიშნების გააზრებაც. კვლევის თანმიმდევრობა ემთხვევა ხატვის ეტაპების თანმიმდევრობას. რასაც დაინახავს და აღიქვავს ბავშვი, თანმიმდევრულად ასრულებს იმ აქტივობას. დაინახა და შეიგრძნო ოვალის ან წრის ფორმა, ხატავს შესაბამის ფორმას. ანდა ხელის შეხებით შეიგრძნობს სიმრგვალეს და ასეთივე ფორმას ძერწავს. პირველ ხანებში ამას მასწავლებლის მითითებით ასრულებს, მაგრამ შემდგომში დამოუკიდებელ კვლებას აწარმოებს და შესაბამის სახვით ქმედებას ასრულებს უკვე დამოუკიდებლად მასწავლებლის გარეშე.

ახლა გავეცნოთ თუ როგორია კვლევის სტრუქტურა:

პირველი ეტაპი მთლიანად ემოციური აღქმაა რაიმე გამოხატული ნიშნით. მაგალითად ბავშვებმა დაინახეს ულამაზესი კნუტი, რომელიც ქუჩაში ვიღაცას დაუტოვებია. რა ხდება? ემოცია მის დანახვაზე. პირველი რა ლამაზია! მეორე საწყალი ვინ მიატოვა? ბავშვებს ის ძალიან მოეწონათ, თან დაინტერესდნენ მისი ბედით. ამ ყველაფრის ნახვის შემდეგ მათ აღეძრათ სურვილი დახატონ ის. თუ როგორ იპოვა დედამ, ან როგორ წაიყვანა ახალმა პატრონმა სახლში და ა.შ. ბავშვი ფიქრობს, როგორი შინაარსი მოუძებნოს კნუტის ისტორიას და ყველაფერს ამას შემდეგ თავის ნახატზე გადმოსცემს.

მეორე ეტაპი ანალიტიკური აღქმაა.ეს საგნის სახვითი–გამომსახველობითი ნიშნების თანმიმდევრული აღწერაა. კვლევის ასეთი თანმიმდევრობა,შეესაბამება ხატვის ეტაპების თანმიმდევრობას. საგანთა აგების ასეთი წესი დამახასიათებელია

ბავშვთა სახვითი საქმნიანობისათვის და გრძელდება უფროს სასაკოლო ასაკამდე, როდესაც აღქმის სინთეზური მომენტი სჭარბობს ანალიზურს და გამოსახულება იქმნება მთლიანიდან ნაწილებამდე. შემდგომში გამოსახვის უფრო მაღალ დონეზე შესრულება განპირობებულია სენსორული მგრძნობელობის განვითარებით. მხედველობითი და მამოძრავებელი ანალიზატორების კარგი კოორდინაციით.

ასე რომ კვლევის ანალიტიკური ხერხი, რომლის არსიც გამოსახულების წარმოდგენის ფორმირებაში მდგომარეობს, ნაკარნახევია ბავშვისათვის ხემისაწვდომი გამოსახვის მეთოდით. ამიტომ ანალიზის სანიმუშო თანმიმდევრობა ასეთ სახეს მიიღებს:

1. გამოყოფენ და აღნიშნავენ საგნის ყველაზე უფრო დიდ ნაწილს და მის მნიშვნელობას.
2. განსაზღვრავენ ამ ნაწილის ფორმას. შეძლებისმაგვარად ხსნიან ფორმის დამოკიდებულებას მის ფუნქციასთან (დანიშნულებასთან).რატომაა ბურთი მრგვალი? თევზი ოვალური?
3. განსაზღვრავენ ამ ნაწილის მდებარეობას სივრცეში.
4.შემდეგ შეარჩევენ მეორე უფრო მნიშვნელოვან ნაწილს და განსაზღვრავენ მის მდგომარეობას, ფორმას, სიდიდეს და ა.შ.
5. აღნიშნავენ საგნის ფერს და ასრულებენ გამოსახულებას ფერში ნატურის შესაბამისად.

ასე, რომ ხდება ყველა მსხვილი ნაწილების გამოყოფა და მისი დეტალების აღწერა. შეძლებისმაგვარად ყურადღება მახვილდება ფორმაზე, აგებაზე, სივრცეში მდებარეობაზე,ფერზე და ასევე მის ყოფით დანიშნულებაზე ცხოვრებაში.მესამე ეტაპიც გულისხმობს საგნის ემოციურ აღქმას მთლიანობაში.

კვლევის სტრუქტურაში არც თუ იშვიათად გამოიყენება ჟესტი, მოძრაობა ხელების საშუალებით. ეს ხერხი ეხმარება ბავშვებს საგნის ფორმის გამოსახვაში. ხელის თითების საშუალებით ჰაერში საგნის კონტურის შემოხაზვა ორგანიზაციას უკეთებს მხედველობით აღქმას. ბავშვი იმახსოვრებს რა ამ მოძრაობას, ადვილად შემოხაზავს მას უკვე ქაღალდზე საგნის ფორმის აღსანიშნავად, იგივე ხდება ძერწვის დროსაც. ბავშვი ხელისგულებით და თითებით გრძნობს ფორმას, იგივე მოძრაობები მეორდება ძერწვის პროცესში. ამიტომ საყურადღებოა, რომ სწორად ვასწავლოთ ბავშვებს ჟესტის შესრულება .ზოგჯერ მასწავლებელმა უნდა აიღოს ბავშვის ხელი და შეასრულებინოს საჭირო მოძრაობა. ასევე გამოიყენოს სიტყვები: მოხვიე ხელები,შეეხე ხელებით.ხატვის დროს წვრილი დეტალები აღიქმება მხედველობის საშუალებით,ხოლო ძერწვის დროს ხელების შეხებით. ჟესტის გამოყენება ყოველთვის არაა აუცილებელი. ეს იმ შემთხვევაში ხდება , როცა საგანი ნაცნობი და ახლობელია ბავშვისათვის. კვლევის ჟესტი ხშირად თანმხლებ სიტყვასთან ერთად აღნიშნავს მიმართულებას,ანდა მოძრაობის ხასიათს. მაგალითად ბატს გრძელი კისერი აქვს, მკერდი მრგვალი, და ამას ხელის ჟესტიკულაცია ახლავს თან. კვლევის ჟესტი იცვლება სახვითი საქმიანობის სხვადასხვა სახეებში, ძეწვაში ის მიმართულია მოცულობითი ფორმის გამოსახვაზე, ხოლო ხატვასა და აპლიკაციაში ფორმის კონტურის მიმართულებაზე.კვლევის ჟესტის ხასიათი დამიკიდებულია საგნის ფორმაზე,მრგვალი ფორმების კვლევისას მოძრაობა უწყვეტია, გაჩერებების გარეშე. ხოლო სწორხაზოვანი ფორმების დახაზვა მოითხოვს სულ მცირე მომენტალურ პაუზებს.ამ ტიპის მოძრაობებს პატარა ბავშვები ადვილად არ ითვისებენ. წყვეტილი მოძრაობები და მიმართულების ცვლილებები მოითხოვენ დიდ მხედველობით კონტროლს. კვლევა უშუალოდ მეცადინეობის წინ უნდა ჩატარდეს.

სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მეცადინეობა დიდი პასუხისმგებლობის

წინაშე აყენებს საბავშვო ბაღის მასწავლებელს.ის კარგად უნდა ფლობდეს სწავლების მეთოდებს სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში,რომლებიც დიდ კავშირშია სწავლების მიზნებთან და ამოცანებთან.

ლიტერატურა:

1. ავტორთა ჯგუფი: დოლიძე ხ , ცინცაძე ნ, კუხალეიშვილი თ, ჯიჯავაძე ნ, ბალანჩივაძე ი, გრიგოლია ი, აბაკელია ნ.(2015)ბაგა-ბაღის აღმზრდელი პედაგოგის სახელმძღვანელო.თბილისი განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
2. Н. В. Шайдурова Н. В. (2017) Методика обучения рисованию детей С 5 до 7 лет Учебное пособие Санкт-Петербург ДЕТСТВО-ПРЕСС
3. Григорьева Г.Г.(2000) Развитие дошкольника в изобразительной деятельности Григорьева. - М.
4. https://zenodo.org/records/7753405
5. https://nsportal.ru/detskiy-sad/risovanie/2019/05/24/izodeyatelnost-v-detskom-sadu

Methods of Teaching Fine Arts in Preschool Age

Gagnidze Darejan
Iakob Gogebashvili Telavi State University, Telavi

Abstract

In preschool pedagogy, various teaching methods are used that correspond to the general goals and objectives of teaching. When using them, the age and individual characteristics of children should be taken into account. Traditional teaching methods include: visual, oral, practical. New methods include informational - receptive, reproductive, research, heuristic. The oral or reproductive method is aimed at perceiving and memorizing new, ready-made information. It includes: conversation, story, art historian's story, teacher's example. The heuristic, or partially search method, is a prerequisite for the research method. The above methods are oriented towards cognitive processes, including the identification of the possibilities of fine activity.

The following methods are used in connection with visual activity: visual, oral and game methods. It is impossible to create a work of art without observation and emotion. The observation process is followed by understanding and then the child's activity. When conducting observations, the age of the children should be taken into account.

Children of younger school age easily draw a topic if it is interesting to them and they have experience of seeing it. The topics to be drawn with the little ones should be simple, and the observation process is relatively short. In five-year-old children, observation becomes longer. They are ready for elementary comparisons and generalizations, for answering questions. Children of the older group are prepared to perceive this or that event more consciously and actively. To observe and notice all the changes that the object undergoes in relation to shadow and lighting. The research method was developed in the context of the problem of research on the sensory education of preschool children. The goal of the research method is to help children learn about the outside world through rational and sensitive perception.

Teaching fine and applied arts places great responsibility on the kindergarten teacher. He or she must be well versed in teaching methods for different age groups, which are closely related to the goals and objectives of the education.

Kay boards: *Traditional. Visual. Research. Method. Observation. Game. Art.*